საქართველოს მთავრობის

დადგენილება №408

2023 წლის 17 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/02/2015, 340170000.10.003.018441) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის – „დანერგე მომავლის“ მე-12 მუხლის 5^1 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5^1. ნერგების იმპორტის გზით ან/და ადგილობრივ სანერგე მეურნეობაში შეძენის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია ნერგების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საკუთარი თანამონაწილეობის თანხის სრულად ან ნაწილობრივ გადარიცხვა/ჩარიცხვა განახორციელოს სააგენტოში განაცხადის წარდგენამდე ან/და განაცხადის წარდგენის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს 12 თვით ადრე, რაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩაითვლება ბენეფიციარის თანამონაწილეობად.

6. სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვას მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი სააგენტოში წარადგენს სააგენტოსთან გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკუთარი თანამონაწილეობის თანხის სრულად გადარიცხვის/ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტებს ან/და ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ საკუთარი თანამონაწილეობის თანხის სრულად და ხელშეკრულებით მისაღები თანადაფინანსების თანხის სრულად ან ნაწილობრივ გადარიცხვის/ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს ამ დადგენილების ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**